სატენდერო განცხადება

ტენდერის დასახელება:

სხვადასხვა სახეობის სამედიცინო ავეჯის შესყიდვა. შესასყიდი საქონლის დასახელება, მახასიათებლები და რაოდენობა მოცემულია შემდეგი ცხრილის სახით:

დასახელება	მახასიათებლები	რაოდენობა
ფუნქციური საწოლი	სამედიცინო ფუნქციური საწოლი, მექანიკური რეგულირების შესაძლებლობით , არანაკლებ **3** ფუნქციით, გადაადგილების შესაძლებლობით, კოროზიამედეგი მეტალის კარკასი, კომპლექტში აუცილებელია შედიოდეს მატრასი, შტატივით წვეთოვანი ინფუსიისათვის	10 ცალი
შტატივი წვეთოვანი ინფუზიისათვის	სიმაღლეში რეგულირებადი, არანაკლებ 4 საკიდით, ბორბლებზე, უჟანგავი მასალის ან მსგავსი	10 ცალი
წამლების კარადა 2 კარიანი	სამედიცინო წამლების კარადა **2** კარიანი, მეტალის კოროზიამედეგი მასალის, აუცილებელია შუშიანი კარით,კარადის სიმაღლე არანაკლებ 1.5 მეტრისა,	1 ცალი
შოკის მაგიდა	შოკის მაგიდა კოროზიამედეგი მეტალის კარკასით, ინსტრუმენტების აპარატებისა და მედიკამანტების გადასატანად, უჯრებით (დეფი, კარდიოგრაფი, მედიკამენტების და ხსნარების მოსათავსებლად) ბორბლებზე	1 ცალი

საწოლთან მისადგმელი მაგიდა	საწოლთან მისადგმელი მაგიდა, ბორბლებზე, უჯრებით, ერთი მხრიდან გასაშლელი მაგიდის ფუნქციით,	10 ცალი
ლითონის ორდონიანი მაგიდა	სამედიცინო ორდონიანი მაგიდა კოროზიამედეგი მეტალის კარკასით, ინსტრუმენტების აპარატებისა და მედიკამანტების გადასატანად, უჯრებით, ბორბლებზე	2 ცალი
სამანიპულაციო მაგიდა		1 ცალი
სამედიცინო ნიჟარა	სამედიცინო საგნების სარეცხი ორსექციანი ნიჟარა სტელაჟი	2 ცალი
სამედიცინო სკამი	სამედიცინო სკამი ბრუნავი	5 ცალი
სავარძელი ქიმიოთერაპიისათვის	დარბილებით, ფუნქციური, კომფორტული	4 ცალი
საოპერაციო მაგიდა	მექანიკური, ზემოთ/ქვემოთ რეგულირებით	2 ცალი

- **საქონლის მიწოდება/მონტაჟი უნდა განხორციელდეს აღნიშნულ სფეროში საქართველოს კანონმდებლობის და საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნათა სრული დაცვით.**
- **დასაშვებია ერთიანი სატენდერო წინადადება წარადგინოს ორმა ან მეტმა ურთიერთდაკავშირებულმა ან დამოუკიდებელმა პირმა.**
- **დასაშვებია განსახორციელებელი სამუშაოების სხვადსხვა ეტაპების (პოზიციების) შესახებ სატენდერო წინადადება წარადგინოს ორმა ან მეტმა ურთიერთდაკავშირებულმა ან დამოუკიდებელმა პირმა.**

- **დაინტერესებულმა კანდიდატმა სატენდერო წინადადებაში უნდა მიუთითოს შემდეგი (შესაძლებლობისას წარმოადგინოს ნაბეჭდი სახით):**

- მისაწოდებელი საქონლის და შესასრულებელი სამუშაოების დეტალური აღწერილობა (მათ შორის საქონლის დასახელება, მწარმოებელი, წარმომავლობა, მდგომარეობა, ტექნიკური მახასიათებლები, შესაბამისი ხარისხის სერთიფიკატები და სხვა);
- მისაწოდებელი საქონლის და შესასრულებელი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა;
- მისაწოდებელი საქონლის და შესასრულებელი სამუშაოების მთლიანი ღირებულება (ღირებულება მითითებული უნდა იყოს დღგ-ს ჩათვლით);
- მისაწოდებელი საქონლის და სამუშაოების ღირებულების გადახდის პირობა;

- მისაწოდებელი საქონლის და სამუშაოების შესრულების ვადა (მისაწოდებელი საქონლის და სამუშაოების შესრულების მთლიანი ვადა არ უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 45 კალენდარულ დღეს);
- საგარანტიო პირობები (მინიმუმ 1 წელი).

<u>შენიშვნა:</u> **პრეტენდენტი, რომელსაც სამუშაოების/საქონლის ღირებულების გადახდის პირობაში ავანსის სახით სამუშაოთა/საქონლის საერთო ღირებულების 10%–ზე მეტი ან 5000 (ხუთი ათასი) ლარზე მეტი თანხის ჩარიცხვა აქვს გათვალისწინებული, ტენდერში გამარჯვების შემთხვევაში, ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმების ეტაპზე წარმოადგინოს საბანკო გარანტია ბანკიდან/სადაზღვევო კომპანიიდან.**

- ***დაინტერესებულმა კანდიდატებმა სატენდერო დოკუმენტაციასთან ერთად უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:***
- კომპანიის რეკვიზიტები: სრული დასახელება, მისამართი და საკონტაქტო ტელეფონები, პასუხისმგებელი პირის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
- ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან კომპანიის რეგისტრაციის შესახებ და საბანკო რეკვიზიტები;
- ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ არ მიმდინარეობს იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია.
- ბოლო სამი წლის განმავლობაში, ანალოგიური მიწოდებების სია და მათგან ორ შესრულებულ სამუშაოზე კომპეტენტური პირების რეკომენდაცია;
- შევსებული აფიდავიტი (დანართი №1.1.);

იმ შემთხვევაში, თუკი საქონლის მიწოდება/სამუშაოთა შესრულება იგეგმება ქვეკონტრაქტორ(ებ)ის მეშვეობით, დაინტერესებული კანდიდატ(ებ)ის მიერ ასევე წარმოდგენილ უნდა იქნას ქვეკონტრაქტორ(ებ)ის შესახებ მონაცემები, ზემოაღნიშნული საბუთების სახით.

- ***ტენდერში გამარჯვებულ პირს, ხელშეკრულების გაფორმებამდე (ამასთან, ხელშეკრულების პირობები ექვემდებარება დაზუსტებას, შეცვლას, გაუქმებას ან დამატებას ვაჭრობის შედეგების და მოლაპარაკებების საფუძველზე) 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე, მოეთხოვება შემდეგი დოკუმენტების წარმოდგენის ვალდებულება:***
- ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ იურიდიული პირის ქონებაზე საჯარო სამართლებრივი შეზღუდვა რეგისტრირებული არ არის.
- ცნობა სასამართლოდან, რომ არ მიმდინარეობს მის მიმართ გადახდისუუნარობის საქმის წარმოება.
- საგადასახადოს სარეგისტრაციო კოდი და გადამხდელის სტატუსი - "დღგ"-ს გადამხდელი ან "შეღავათების მქონე გადამხდელი";
- ცნობა საგადასახადო სამსახურიდან დავალიანების არარსებობის შესახებ;

- დამკვეთი/მყიდველი კომპანიის მოთხოვნით, ასევე შესაძლებელია შერჩეულ კანდიდატებს მოეთხოვოთ სხვა დამატებითი დოკუმენტების წარმოდგენის ვალდებულება, რაზეც ეცნობებათ დამატებით და განესაზღვრებათ შესაბამისი ვადა. აღნიშნულ ვადაში დოკუმენტაციის წარუდგენლობა შეიძლება გახდეს სატენდერო წინადადებაზე უარის თქმის საფუძველი.

- სატენდერო კომისიის მიერ სატენდერო წინადადებებისა და თანდართული დოკუმენტაციის შეფასების კრიტერიუმები პრიორიტეტულობის მიხედვით არის შემდეგი:

- ხარისხი
- ღირებულება
- ღირებულების გადახდის ვადა
- სამუშაოების შესრულების ვადა

დაინტერესებულმა კანდიდატებმა სატენდერო წინადადება თანდართულ მოთხოვნილ დოკუმენტაციასთან ერთად, სამ ეგზემპლარად (ერთი დედანი, ორი ასლი) უნდა წარმოადგინონ ერთ დალუქულ კონვერტში, გვერდები უნდა დაინომროს და დამოწმდეს კომპანიის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის მიერ. დოკუმენტაცია პრეტენდენტისთვის დაბრუნებას არ ექვემდებარება.

სატენდერო წინადადებების თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად დალუქულ კონვერტში მიღება განხორციელდება 2014 წლის 14 ნოემბრის 15:30 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, კ. ჩაჩავას ქ.N5. (0159).

სატენდერო კომისიის სხდომა გაიმართება 2014 წლის 14 ნოემბრერს 16:00 საათზე, შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, კ. ჩაჩავას ქ.N5 (0159).

ტენდერთან დაკავშირებულ საკითხებზე დამატებითი ინფორმაციის მიღება, საჭიროების შემთხვევაში ადგილზე დათვალიერება, ინფორმაციის დაზუსტება შესაძლებელია შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, კ. ჩაჩავას ქ.N5, საკონტაქტო პირი - სოფიო დეკანოსიძე, ტელ: 577643333, ელ. ფოსტა: *sopho.dekanosidze@aversi.ge.* ან ირკლი ხარშილაძე, ტელ: 577327708, ელ. ფოსტა: *Irakli.kharshiladze@aversi.ge*